ხელშეკრულება №სბ4/03

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 15 იანვარი 2020 წელი

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბორია ფირცხელიანის სახით, და შპს „ჯეობიტი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა მაღლაკელიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება: საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

კარტრიჯების დამუხტვისა და აღდგენის (ბარაბნის შეცვლა) მომსახურება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV50310000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 350,00 (სამასორმოცდაათი ლარი) ლარი;

№	მომსახურების დასახელება	კატრიჯის დამუხტვის ერთეულის ღირებულება	ბარაბნის შეცვლის ერთეულის ღირებულება
1	Canon MF 210 Series Compatible Cartrige ForCF 283A	10,00	0
2	Canon MF 210 Series Cartrige 337 Starter	10,00	0
3	Canon MF 3010 85CE285A	10,00	0
4	Xerox Phaser 3140 Laser Printer Toner Cartrige 1008R00908	10,00	0
5	Canon MF 3200 Series EP-26/E27/X25	10,00	0

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. მ.შ. დღგ-ს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის (ზეპირი ან/ და წერილობითი) მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში დასამუხტი კარტიჯების წაღება, ხოლო დამუხტული კატრიჯების მოტანა წაღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის მიერ ყოველგვარი დანამატი ხარჯების გაწევის გარეშე, შემსყიდველის მისამართზე: ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №37-ში მდებარე სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“-ში.

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.1.4. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების მიღების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6.3. კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“-ს საწყობის გამგე ემზარ კოდალაშვილი.

6.4. მიმწოდებელი ვადებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

7.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე;

7.3. მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი გიორგი ბაღათურია.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. ანგარშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

8.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

8.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (შეთანხმების) გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში ან 6.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და დამატებითი გონივრული ვადა ამ დარღვევის გამოსასწორებლად. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

12.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ანთავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა და ზიანის ანაზღაურების (ზიანის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან;

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ფორსმაჟორი

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და

ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების, მათი გამომწვევი მიზეზების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;
16.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან“, ერთი - „მიმწოდებელთან“.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“
მისამართი: ქ. თბილისი, თიანეთის გზატ. N37
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №200122900
სახაზინო კოდი 32080201
ს/კ: 209467851

დირექტორი,

ბორია ფირცხელიანი ----------

„მიმწოდებელი“

შპს "ჯეობიტი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N79
მისამართი: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ N10გ
ტელეფონი: 598 311 244
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22
ანგ. GE47TB0270036020100002

ს/კ: 216406486

დირექტორი,

ზაზა მაღლაკელიძე ----------

Geobit LTD Digitally signed by Geobit LTD
Date: 2020.01.15 15:49:51 +04'00'